# იმერეთი

№ 2

წელიწადი მესამე.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“

ხუთშაბათი 8 იანვარი 1915 წ.

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს [illegible] კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., [illegible] 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.



დაიწყო ხელის მოწერა 1915 წლისათვის

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„იმერეთ“-ზე

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა-უქმეების შემდეგ დღეებისა.

გაზეთი ღირს:

| 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით | ცალკე ნუმერი | საზღვარგარეთ |
|---|---|---|---|---|---|
| 7 მან., | 4 მან., | 2 მ. 10 შ. | 4 აბაზი. | 1 შაური. | ორჯერ მეტი. |

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქუჩა სახლი გოკიელისა. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 12—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი. წვრილმან წერილების გამო, რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მოწვეული არიან ახალი თანამშრომლები.

ქ. ქუთაისი

მოსკოვის უდიდესი ფირმა

ამხანაგობა

„ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“

[illegible]ტივისცემით აუწყებს ბ.ბ. მყიდველებს და კლიენტებს, რომ მან სრულ საკუთრებათ შეიძინა [illegible] საქონლის საწყობი და წვრილი სავაჭრო მაღაზია ჰაებზე დამყარებული ამხანაგობის

„ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი“-ს,

რომელიც მდებარეობს ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბ[illegible]ღის პირდაპირ.

როგორც წარმომადგენელს პროხოროვის ტრიოხგორნი სამანუფაქტურო ამხანაგობისა

ამხანაგობა „ნ. უდალოვს და ი. ვავილოვ“-ს

[illegible]ქვს დიდი საფაბრიკო საწყობები სამანუფაქტურო საქონლის მოსკოვში და როსტოვში, რის გამოც მას შეძლება ეძლე[illegible]ა ქუთაისის განყოფილებისათვის მუდმივათ იქონიოს დიდძალი ასარჩევი საუკეთესო სამანუფაქტურო საქონელი სხვა-და-სხვა ცნობილი ფირმების.


# ევროპის ომი.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.

### ინგლისელებისა და გერმანელების ბრძოლა.

**ლონდონი.** 5 იანვარი. ინგლისის მთავარი ბინის ცნობით, ინგლისის ჯარ[illegible]ა კენში საზვერავი ბინა დასტოვა, [რ]ადგანაც გერმანელების ცეცხლმა შეუ[ძ]ლებელი გახადა მისი შენარჩუნება, თუმცა [გ]ერმანელებს ეს ბინა არ დაუკავებიათ. [ი]ნგლისის არტილერიამ 31 დეკემბერს [ა]რმანტიერის ქვემოთ გამოჩენილი ხიდი [დ]აანგრია. გაზეთების ცნობა, გერმანე[ლ]ების ჯარის მდგომარეობის დაკავების [შ]ესახებ ლაბასეს ახლოს, ტყუილია. ამ [მ]ხრით შეტაკებები არ მომხდარა.

### საფრანგეთის პრესა.

**პარიზი.** 5 იანვარი. პრესაში გავრცელებულ ხმების გამო, საფრანგეთის დელეგაციის პეტროგრადში მომავალ კრების შესახებ რუსეთის ბაზრის შესასწავლათ, გავასის სააგენტო იუწყება, რომ გადაწყვეტილია ნამდვილათ შესდგეს კომისია, რომელსაც მიზნათ ექნება დასახული გამოარკვიოს დაახლოვებით რუსეთ-საფრანგეთის ბაზრის დამოკიდებულობა, რათა განდევნილ იქნას ამ ბაზრებიდან გერმანიის ნაწარმოებნი. მაგრამ ამ კომისიის მუშაობის წესრიგი ჯერ შემუშავებული არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ კომისია ყოველმხრივ შეისწავლის საკითხს და შეიმუშავებს იმ რუს კომისიონერების თანადასწრებით, რომელნიც საფრანგეთში ცხოვრობენ და აგრეთვე იმ ფრანგების მიწვევით, რომელთაც სავაჭრო დამოკიდებულობა აქვთ რუსებთან.

### ფრანგებისა და გერმანელების ბრძოლა.

**პარიზი.** 5 იანვარი. საფრანგეთის ავიატორებმა უკუაგდეს გერმანელების ორი ჰაეროპლანი, რომელთაც მონდიდიე—კრეპიანვალზე იერიში მიიტანეს. გავასის სააგენტოს სამხედრო მიმოხილვაში 23 დეკემბრიდან 2 იანვრამდი აღნიშნულია, რომ სამხედრო მოქმედებას ცუდი ამინდი ხელს ძლიერ უშლისო. უმთავრეს ბრძოლათ უნდა ჩაითვალოს იზერის რაიონში ჩვენ მიერ მდინარის იქით ფართო გასავლის დაკავება. მეორე ბრძოლა სუასონის გარშემო იყო, სადაც ბრწყინვალეთ დაწყებული ჩვენი შეტევა შეაჩერა მდ. ენის ადიდებამ და სამი ხიდის წაღებამ, რამაც ხელი შეუშალა მაშველ ჯარს შეეჩერებია მტრის მედგარი იერიში და იძულებული გავხდით 5 კილომეტრით უკან დავეწია. მესამე ბრძოლა პერტის რაიონში მოხდა, სადაც ჩვენ წინ წავიწიეთ და გერმანელების კონტრიერიშებმა უნაყოფოთ ჩაიარა. მეოთხე ბრძოლის არგონში გერმანელების მოქმედება უნაყოფოთ დავტოვეთ. მეხუთე—ზემო ელზასზე ბრძოლაში ჩვენ წარმატება გვქონდა. სუასონთან ბრძოლების შესახებ, რომლის მნიშვნელობასაც ადგილობრივი ხასიათი აქვს, საჭიროა აღვნიშნოთ სრული წარმატება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ 26—28 დეკემბრამდი. 29 დეკემბრს მდ. ენი ადიდდა და ხიდები დაანგრია. ამდროს მტერი მედგარი იერიშის მოტანით შეეცადა მდინარისკენ მიმწყვდევას და ჩვენს ამოჟლეტას, მაგრამ ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. ჩვენი ჯარი წავიდა იქით, სადაც მდინარემ ხიდი წაიღო. ჩვენ დავკარგეთ რამდენიმე ზარბაზანი დიდი კალიბრისა, რომელიც წინასწარ გავაფუჭეთ. ჩვენი უკან დახევა სრული წესრიგით მოხდა. 31 დეკემბერს ღამით მტერმა დიდი ზარალი ნახა და ჩვენს შევიწროებას თავი გაანება. 1 იანვარს მტრის ენერგიული იერიში მოვიგერიეთ. სენტოლსა და არგონში ბრძოლა სწარმოებდა. საჭიროა განსაკუთრებით აღვნიშნოთ კურტოსთან მომხდარი ბრძოლა, რომელიც დაიწყო ღამით 8 ნაღმის აფეთქებით გერმანელების სანგარებს ქვეშ. იტალიელების ლეგიონი და ფრანგების ერთი ბატალიონი მტერს ეკვეთენ. იტალიელებმა დიდი აღფრთოვანებით გადალახეს გერმანელების მდგომარეობა 600 მეტრის მანძილზე. ტყვეთ ხელში ჩაიგდეს ერთი როტა, სამი აფიცერი, 12 უნტერაფიცერი, ტყვიის მტყორცნელები და ზარბაზნები. ამ ბრძოლაში მოკვდა კონსტანტინე გარიბალდი. მტერმა მაინც კონტრ-იერიშებით რამდენიმე პოზიციის უკან დაბრუნება შესძლო. იტალიელების მოქმედებამ საერთო აღფრთოვანება გამოიწვია. არგონიდან ზემო-ელზასამდი ჩვენ შეუჩერებლივ წინ მივიწევთ. ორი თვის განმავლობაში ამ ბრძოლის ველზე საალყო მოქმედება სწარმოებს. სანგრებთა ხაზები 30 მეტრზე არის ერთმანეთს დაშორებული. მტერს აქ ყველგან უკუვაქცევთ. ამ რაიონში მოქმედება უფრო წარმატებით იქნებოდა, ცუდი ამინდი ხელს რომ არ გვიშლიდეს.

### მიწის ძვრა იტალიაში.

**რომი.** 5 იანვარი. მიწის ძვრისაგან დაჭრილებით საავადმყოფოები და შკოლები აივსო. რადგანაც რომში დაჭრილთათვის ბინა აღარ მოიძებნება, მათ სხვა ქალაქებში აგზავნიან. სალამანდრამ კომიტეტი მოაწყო დაზარალებულთა დასახმარებლათ. იტალიის ქალაქებმა ხელის მოწერა გამართეს დახმარებისათვის. როგორც გამოირკვა, მიწის ძვრისაგან მოკლულთა რიცხვი 33,000 კაცს აღემატება.

### საფრანგეთის ბრძოლის ველზე.

**პარიზი.** 5 იანვარი. ოფიციალურათ იუწყებიან, რომ არტილერიის საწყობის აფეთქებამ, რომელიც ყუმბარის გასქდომამ გამოიწვია, სოფელი ბოასელი გადაიწვაო. ამის გამო, ჩვენი ჯარი იძულებული გახდა სოფელი დაეტოვებია, მაგრამ 5 იანვარს მედგარ იერიშს შემდეგ, ჩვენ ის კვლავ დავიკავეთ. სუასონის ახლოს მტერმა სენპოლს ზარბაზნები დაუშინა. შამპანში ინგლისელების მფრინავებს, რომელნიც ჩვენის პოზიციების თავზე აფრინდენ, გერმანელების ორმა ჰაეროპლანმა ყუმბარები დაუშინა. ჩამოვარდენ ჩვენს ბინაზე ბარლედიუკის გზით. მანქანები არ დაზიანებულა, 4 მფრინავი ტყვეთ წაიყვანეს. არგონში დროგამოშვებით თოფითა და არტილერიით სროლა სწარმოებდა. არგონიდან ვოგეზამდი ძლიერი ქარიშხალია.

**ლონდონი.** 5 იანვარი. ლონდონში მხოლოდ ახლა მიიღეს ცნობა ერთი კვირის უკან ოსტენდეზე გერმანელ მფრინავების თავდასხმის შესახებ. სამხედრო ფლოტის რაზმმა გადაიარა ქალაქის თავზე. ერთმა ავიატორმა ქალაქს 24 ყუმბარა ესროლა.

### ლანდშტურმების მოწვევა,

**კოპენჰაგენი.** 5 იანვარი. ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, რომ 8 იანვრისათვის იწვევენ ლანდშტურმებს 1875—1881 წ., რომელთაც სამხედრო მოქმედება შეისწავლეს.

**კოპენჰაგენი.** 6 იანვარი. ხშირად წარმატება გერმანელებისა სუასონის მიდამოების ბრძოლის ველზე გაზვიადებუ

**გაზეთ „იმერეთის“ რედაქცია** ადგილობრივ და პროვინციის ხელისმომწერლებს დაბეჯითებით სთხოვს დროით აცნობონ გაზეთის დაკვეთა 1915 წლისათვის, რომ რედაქციის კანტორას შეძლება ქონდეს ნორმალურათ აწარმოოს გაზეთის გაგზავნა. ამასთანავე აცხადებს პროვინციის იმ ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომელთაც „ახალ ივერიის“ სახელზე 1915 წლისათვის გაზეთის დასაკვეთი ფული გამოგზავნეს, რედაქცია მისამართის შეუცვლელათ ამ ფულს ვერ მიიღებს და ამიტომ დროით აცნობონ ფოშტას.

ლია გერმანიის პრესისაგან. ვოლფის სააგენტომ დაგზავნა დაწვრილებითი ანგარიშები გერმანელების გმირულ მოქმედებისა და ვილჰელმის ბრძოლის ველზე მონაწილეობის მიღების შესახებ სუასონთან. ანგარიშები განზრახ არის შედგენილი და მიზნათ აქვს ხაზგასმით აღნიშნოს იმპერატორის მ.ინაწილეობის მნიშვნელობა ბრძოლის ველზე.

**რუსებისა და გერმანელების ბრძოლა,**

**პეტროგრადი.** 6 იანვარი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. 4—5 იანვრის განმავლობაში მდ. ქვედა-ვისლის მარჯვენა ნაპირა ფრონტზე ვარშავა-მლავის რკინის გზამდი ჩვენი ჯარის ნაწილებს კერძო შეტაკებები ჰქონდათ მტერთან. უფრო ძლიერი ბრძოლა, რომელსაც კერძო ბრძოლის ხასიათი ჰქონდა, მოხდა სოფელ კანონკისთან, სადაც მტერი ზარბაზნებს უშენდა ჩვენს მდგომიარეობას. ჩვენმა ბატარეიამ მტრის არტილერია ჩააჩუმა. როძანოვისა და ბჟუნის წინ, სადაც მტერს გამაგრებული პოზიციები უჭირავს, და აგრეთვე დოგრიასთან, მტერი შეეცადა იერიშის მოტანას, მაგრამ ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა შეაჩერა. ამასთანავე მტერმა დიდი ზარალი ნახა და იძულებული იყო უკან დაეხია. 4 იანვარს, დღით, მტერმა მდ. ვისლის მარცხენა ნაპირის პოზიციებიდან ყუმბარები დაუშინა ჩვენს მდგომარეობას ვიშეგრადთან, მაგრამ ჩვენის ფრონტებიდან მიმართულმა ზარბაზნების ცეცხლმა მტერი ჩააჩუმა. 5 იანვრის განმავლობაში მტერმა ძლიერათ დაუშინა ყუმბარები მდ. ბზურის მარცხენა ნაპირზე ჩვენ მიერ დაკავებულ სიმაგრეებს და სოფ. ვიტკოვიცას. დანარჩენ ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

## ოსმალეთის ასპარეზი.

კავკასიის ჯარების შტაბისაგან.

**პეტროგრადი.** 6 იანვარი. ოფიციალური. ოსმალეთის ჯარის უკან დევნა გრძელდება. ჰოროხის მხარეში მტრის შევიწროება წარმატებით სწარმოებს. 5 იანვრის განმავლობაში ჩვენ დავიჭირეთ სოფელი რიდრევეთი და სულთანსელიმის მთის პოზიციები. მტერმა დიდი ზარალი განიცადა.

**დელი.** 6 იანვარი. ოფიციალურათ იუწყებიან, 19 დეკემბერს არაბების მოდგმამ ომანებმა ქალ. მუსკატზე იერიში მიიტანეს. მტერმა 3.000 კაცისაგან 500 დაკარგა. მეთაური იზაბინ-სალეხი დაჭრილია. ინგლისელებს დაუჭრეს 1 კაპიტანი და 14 ჯარისკაცი, მოუკლეს 6.

**თფილისი.** 6 იანვარი. ჩამოიტანეს 24 ვაგონი სამხედრო დავლა, რომელიც მტერს ყარაურგანთან ბრძოლის დროს ჩვენმა ჯარმა წაართვა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, რომ რუსების მიერ ოსმალეთის ჯარის დამარცხების ხმებმა ქალაქში დიდი აღელვება გამოიწვია გერმანელებისა და გერმანიის მომხრე ოსმალოების წინააღმდეგ. ქალაქში საწინააღმდეგო დემონსტრაციებს ახდენენ. ქალაქში გავრცელებული პროკლამაციები ბრალსა სდებენ სულთანსა და ენვერფაშას ოსმალეთის განადგურებაში. შესაძლებელია რევოლუციონური მოძრაობის დაწყება. მთავრობა შეძრწუნებულია და ემზადება ბრუსს გადავიდეს, თუ აჯანყება მოხდა. ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის „ერთობა და პროგრესის“ ოპოზიციაში მდგომი პარტიები მხურვალე აგიტაციას ეწევიან ხალხის მტრების წინააღმდეგ, რომელთაც ოსმალეთი გერმანელებს მიყიდეს. პროკლამაციები იწყება და თავდება შემდეგი მოწოდებით:

— აღიმაღლეთ ხმა გერმანიის ტირანიის წინააღმდეგ! დაიხსენით ოსმალეთი!

ენვერფაშა თავის მოადგილემ გააწვია. იგი კონსტანტინეპოლს დაბრუნდა.

არზრუმში მან განკარგულება გასცა დაესაჯათ რამდენიმე აფიცერი, რომელნიც მტრულათ უყურებენ გერმანელებს.

ბევრი დაატუსაღა. სხვათა შორის, ესად ფაშა და მისი ძმა ვეხიბი.

ოსმალეთის ფინანსიური მდგომარეობა უნუგეშოა. მომავალი წლის ბიუჯეტით, რომელიც შეტანილი იქნება პარლამენტში, ნავარაუდევია შემოსავალი 26, 836, 438 ოსმალ. გირვ. გასავალი კი 35, 580, 609. დეფიციტის შესავსებათ ახალ გადასახადებს შემოიღებენ.

ოტომანის ბანკის დირექტორმა უარი განაცხადა 20,000,000 ქაღადის ფულის გამოშვებაზე. იგი გადააყენეს და მის ადგილზე დანიშნეს ოსმალოელი.

კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან: პორტას წინადადებით, ნეიტრალური სახელმწიფოების კონსულები დარდანელიდან კონსტანტინეპოლს უნდა გავიდნენ. ასეთი განკარგულების ფორმალური საბაბი ისაა, რომ მოკავშირეთა ფლოტთან ოპერაციების დროს არ შეუძლიათ უზრუნველ ჰყონ იგინი.

ნამდვილათ კი, ოსმალები ეჭვის თვალით უყურებენ მათ მოკავშირეებისადმი ოსმალეთის ფლოტის მოძრაობის ცნობების მიწვდაში.

იტალიის გემი „ჟანნა„ ოსმალოებმა და ატუსაღეს და დარდანელში მიიყვანეს. ეკიპაჟი კაპიტნით დატყვევებულია.

ოსმალოები ბრალსა სდებენ იტალიელებს ქრისტიან ჯარისკაცთა გაქცევაში.

სევასტოპოლში მიღებული ცნობებით, ოსმალეთის ჯარის მდგომარეობა აუტანელია. ჯარს სურსათი აკლია და რამდენიმე დღე უჭმელი იმყოფება. დამშეული ჯარის კაცები მშვიდობიან მცხოვრებლებს არბევენ.

არზრუმში ტიფი მძვინვარობს.

**ცეპელინების მოლოდინში.**

გერმანიის ცეპელინებისაგან თავდასხმის მოლოდინში ლონდონი ძლიერათ ემზადება. ჯერ კიდევ სექტემბერში ქალაქის სხვადასხვა ადგილას დასდგეს პროჟექტორები, რომელიც ღამის განმავლობაში ცას ანათებენ. მაშინვე იყო მოწვეული ავიატორთა კორპუსი, რომელიც შეიარაღებულია ზარბაზნებით და პროჟექტორებით. ამ კორპუსში შედის 100 ჯარისკაცი და აფიცერი სამეფო ფლოტის შემადგენლობიდან. ყოველ დღე ვარჯიშობენ.

## ქუთაისი, 8 დეკემბერი.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ნაწილი იმ საყურადღებო კანონისა, (1 ივლისი, 1914 წ.) რომლის შესახებაც ამასწინად სიტყვა ჩამოვაგდეთ (იხ. „ახ. ივ.“ № 39) და რომელ კანონსაც ჩვენთვის,—ქართველებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს.

მნიშვნელობა ამ კანონისა ჩვენ უკვე აღვნიშნეთ წინა წერილში. ვისაც ყური ყურის ადგილასა აქვს და გული გულის ადგილას, ის უკვე მიგვიხვდებოდა, რის თქმაც გვინდოდა. მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის. იმ დროს, როცა სიტყვას პირიდან გაცლიან, ერთი თვალის ჩაკვრა, ერთი ხელის გაქნევაც კი, გვგონია, საკმარისია მოსიყვარულე დედისათვის, რომ შვილის გულის პასუხი გაიგოს და იგრძნოს კიდეც რა გაჭირებაც ადგია შვილს!..

ჩვენთვისაც ჯერ-ჯერობით ისიც კარგია, რომ კანონი ნებას გვაძლევს გარდა სახელმწიფო ენისა, ისტორიისა და გეოგრაფიისა, დანარჩენ საგნების სწავლება მოვაწყოთ სამშობლო ენაზე.

ეს კი დიდ ბედნიერებათ უნდა ჩაითვალოს ჩვენისთანა ერისათვის, თუ ამ ერს არ დაუკარგავს თავისი მეობა და არ დავიწყებია მამა-პაპათა ანდერძი.

ქართველი ხალხი, ქართველი ერი, როგორც ეგეთი, ჩვენ გადაგვარებულათ არ მიგვაჩნია და კიდეც ამიტომ ვახარეთ მას ამ კანონის გამოსვლა, მაგრამ...

მაგარი ის არის, რომ, როგორც ყველგან, ისე ჩვენში ერის წარმომადგენლათ ითვლება ეგრედ წოდებული ინტელიგენცია და — გატეხილს მოგახსენებთ — სწორედ ამ ინტელიგენციისა გვეფიქრება.

როგორ შეხვდება ამ კანონს ჩვენი ინტელიგენცია და მოინდომებს თუ არა ამ კანონის განხორციელებას? აი ის საკითხები, რომლებიც გადაჭრილ პასუხს თხოულობენ და რომლებიც, ჩვენის აზრით ყველა ქართველს უნდა აინტერესებდეს...

სხვისა არ ვიცი და ჩვენ კი იმ აზრისა ვართ, რომ ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობა სრულიადაც არ არის მზად ამ კანონის მნიშვნელობის დასაფასებლად.

მზათ რომ ყოფილიყო, აქამდისაც კრებას კრებაზე გამართავდა, მთელ ქვეყანას აალაპარაკებდა, ათასჯერ ასწონ-დასწონიდა და სისრულეშიც კი მოიყვანდა, მაგრამ დღევანდლამდე მაინც და მაინც ყური არავის გაუბერტყია (თფილისში არსებულ „განათლების“ საზოგადოების გარდა) და, გვგონია, უმრავლესობამ არც კი იცის ამ კანონის არსებობა.

რით აიხსნება ასეთი მოვლენა? იმით, რომ ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობა სულით და გულით ბიუროკრატია, ხორცია ხორცთაგანი და სისხლია სისხლთაგანი იმ აღზრდისა, რომელსაც განვიცდით მას შემდეგ, რაც საქართველო ასცდა თავის ბუნებრივ მსვლელობის გზას. ჩვენის ინტელიგენციის უმრავლესობა ვერც კი წარმოიდგენს, რომ მხოლოდ ეროვნული სკოლის შეუძლია ჩვენი ხსნა და ჩვენი გულ-გონების ნორმალურათ განვითარება.

დღევანდელი ჩვენი ცხოვრების შიგ ჰრელობა და აუტანლობა,—პოლიტიკურ ეკონომიურ ხასიათის მიზეზების გარდა — ჩვენის, არაბუნებრივ ნიადაგზე, აღზრდითაც აიხსნება.

ჩვენ შემდეგ წერილში ვეცდებით დავასაბუთოთ — თუ რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება — როგორ დააკნინა ჩვენი გულისთქმა არა ბუნებრივმა აღზრდამ და რომ სწორეთ ეს არაბუნებრივ საკლასო აღზრდა არის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ეგრედ წოდებულ ინტელიგენციის გასწორ-გასწორობისა მარტოოდენ „ლამაზ ლამაზი სიტყვებით“ თავის გამოჩენისა.

## ნარკვევი.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

სახალხო ფურცელი ას სამოცდა ცხრამეტე ნუმერში სწერს:

2) გასაოცარს სურათს წარმოადგენს დღეს ჩვენი საზოგადოება. სწორედ გაუგებარია ... სი უმწეობა და უმოქმედობა. საშინელი ... დაგვატყდა თავს, საუკეთესო მუშა-ხელი ს... დიდან ბრძოლის ველზე გაიწვიეს, სოფელ... უპატრონოდ დარჩა, სოფლის ისედაც გაჭ... ვრებული გარემოება გართულდა. მრავალ... ქართველია დაჭრილი, მრავალი სათადარი... ჯარის-კაცის ოჯახია დარჩენილი მოუვლ... ლად, ულუკმა-პუროდ; სიდატაკე სენიც ... ედება ჩვენს ხალხს და ყველაფერს ამას ... ზოგადოება რაღაც ფატალისტურის გ... გრილობით შესცქერის. არ არსებობს არა... თარი ორგანიზაცია და დახმარება, რომ მი... შველნეთ ჩვენს მოძმეებს ომისაგან დაზარ... დებულებს და დაბეჩავებულებს. ჩვენს ესე... უძრაობას არავითარი გასამართლებელი საბ... არა აქვს. როცა შენ წინ მშიერი, ავათმყ... და დაუძლურებულია, მაშინ საჭიროა მხოლ... დახმარება, ჭირის შემსუბუქება, იარისა ... ჭრილობის დაამება.

საუბედუროდ ჩვენში არაა ამ ელემენტ... დი მოვალეობის შეგნება. საზოგადოება ... თქოს სრულებით არ ხედავს, რაც ამჟ... ჩვენი ხალხის თავზე, რა შევიწროებას გ... ცდის ამ ჟამად უმთავრესად ჩვენი სოფელ... ყველასაგან მიტოვებული და მივიწყებუ... საზოგადოება სდუმს, დამბლა დაცემულიც ... გაშეშებული სდგას და არა ჰგრძნობს ი...

---

## მარჩიელი ნიფადორა.

(ამბავი).

სამართლიანმა წყევლამ გასჭრა, თუ სხვა რამ უბედურებამ უწია საჩინოს, არ ვიცი, მაგრამ მის შვილსა და მომავალს ... ი ავის მეტი, კარგი არაფერი დამართია: მისი ყოფა-ცხოვრება სულ უკუღმა და უბედურათ მიდიოდა.

საჩინოს სიცოცხლეში მისს ოჯახს კიდევ ედგა სული: ლუკანასკნელ წუთამდი ოქაული თავისს თანამდებობაზე იყო და, რა კი უჩასკი ნაჩანიკი სწყალობდა, იმ შემოსავლიან ადგილს ანკი ვინ ჩამოართმევდა?

ნიფადორამ ხომ მარტო სტუმრის გამასპინძლება და ნასესხების გაქვითება იცოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როცა გლეხები დაოსტატდნენ, ნიფადორას გაქვითების უნარიც საგრძნობლათ შეუსტდა.

ამას სხვა საჭირ-ბოროტო საზრუნავიც მოჰყვა:

ერთი ერთმანეთზე მომდევნო ოთხი ვაჟი და ორი ქალი ღვთის ანაბარა იზრდებოდნენ.

მაშინ სასწავლებლები მხოლოდ მონასტრებში იყო და ვისაც მღვდლობა ან მონაზვნობა უნდოდა, მხოლოდ იმათ თუ მიაბარებდნენ ასეთ სასწავლებლებში.

ნიფადორას და საჩინოს თავისი შვილების ასეთი მომავალი არ ეპრიანებოდათ.

მათ საკმაოთ მიაჩნდათ, თუ ოჯახის შვილებს მხედრულის ამოკითხვა და მოკითხვის ბარათის წერა ეცოდინებოდათ.

და ამნაირი სწავლება ხომ ნიფადორასაც ადვილათ შეეძლო—ა, ნიფადორამაც ასადა თავი იმ კოლოფს, სადაც უჩასკი ნაჩანიკის მოწერილობებს დიდ საუნჯესავით ინახავდნენ. მასწავლებელმა დედამ ...

ხელით იყო დაწერილი, ამოარჩია, უფროს ქალვაჟს ხელში მიაჩეჩა და ხარიხაზე ჩამოსხა.

მაღალი წირვის დრო იქნებოდა, როცა საჩინოს ეზოში ორი შინა მოწაფის ხმა გაისმა: „აზნაური საჩინო თუმანიძე, ალმასხან დიდებულიძე“.

ეს სიტყვები ორივეს ძლიერ ხმამაღლით წარმოათქმევინა და მერმე თავისი ნაკარნახევი თითის დადებით ასო ასოთ კაი ხანს აძახებინა ხან ერთს და ხან მეორეს: ა-ნ, ზ-ენ, ნ-არ, ა-ნ, უ-ნ, რ-ე, ო-ნ, ს-ან, ან ჩინ, ინ ნარ, ონ და ასე, სანამ ყველა ეს დიდებული სახელი და გვარი ასოებით არ მოთავდა.

მერმე მოიტანა მრგვალი ზონარი; თითოეულზე ცხრა ნასკვი გამოკვანძა, ცხრა მარყუჟი გაუკეთა, თითო თითოთ ახალ მოწაფეებს მარცხენა ხელის ცერზე გადააცვა და დააყოლა:

— შვილებო, სადაც მე თითი დაგიდეთ და რა ხმაც გათქმევიეთ იმ ხმით თითო თითო ასო ამ სკვნილებზე ცხრაცხრაჯერ გაიმეორეთ.

დაიწყეს, მარა რა დაიწყეს! ხან ერთი გაასწრებდა, ხან მეორე, ხან ორივე ერთსა და იმავეს იძახდა, ხან ერთი მეორეს ნათქვამს პირში ართმევდა:

ერთს რომ ექვსი სკვნილი ჰქონდა ჩამოთვლილი, მეორეს ცხრა გაეთავებია კიდეც.

ამის გამო შეექნებოდათ ან ჩი-მან ჩი; ხანდახან გაქოჩრავდნენ კიდეც ერთმანეთს.

გამოვარდებოდა ნიფადორა და დედაშვილურ წყევლას კაი ტყაპა ტყუპსაც მოაყოლებდა ხოლმე. ასეთი სურათი ყოველდღე მეორდებოდა, სანამ ოჯახის მემკვიდრეები ამოსალებზე არ გადავიდოდნენ. წერასაც უკანასტარის ცარიელ ადგილზე აწარმოებდა შინ გაზდილი მასწავლებელი დედა და ქალბატონი ნიფადორა.

ასეთი ვაივაგლახით ისწავლა საჩინოს ყველა ბავშებმა წერა-კითხვა.

ვაჟები წამოიზარდნენ, ქალებიც მოჩიტდნენ და ჯერ მათ საოჯახო საქმის არაფერი არ ეგებოდათ.

ქალების უსაქმობას კიდევ მოევლებოდა თავი, მაგრამ უსაქმო ვაჟების შინ დაყარა დიდი უბედურობა იყო:

როცა მეზობლის ბიჭები საჩინოს კარზე შუკაში ძროხა-ხარსა და თხა-ცხვარს საძოვარზე გასარეკათ გამოდენიდნენ, საჩინოს ვაჟები ღობეზე შედგებოდნენ და გლეხის გაბუძგულს და ფეხშიშველ ბიჭებს შენატროდნენ: თვალწინ ეხატებოდათ მთელი სურათი მწყემსების დღისა:

აი, მშვენიერი მაისის შუა დღეა, და მეზობლის გლეხის ბიჭი, ჭიჭიკო მოზდილ მოზვერს კუდზე მოჰკიდებია, გრძელ წკეპლს ვითომ ალერსით ზურგზე უშხაპუნებს და დასარწყულებლათ მდინარესკენ მიარბენინებს; მეორე ბიჭი ვაცს მოჯდომია და ესეც წყლისკენ მიჩანჩალობს; მესამე ორ ნეზვ—ცხვარშუა ჩამდგარა, გრძელ მატყლში ხელები ჩაუჭიდია და ხტუნვა-ხტუნვით გასაგრილებლათ მიეშურება. უფრო ამას მოყვა მეორე, ბავშვისთვის წარმტაცი სურათი.

ეს ბიჭები საქონელს დაარწყულებენ თუ არა, ბუჩქნარში და მაღალ გვიმბრაში შაშვისა და ჩხიკვის ბარტყებს გამოუდგებიან და საღამოს თითოეულ მათგანს ორ-ორი თუ არა, თითო მაინც ხელზე დასკუპებული ეყოლებათ.

ასე ჩამორეკენ საქონელს ეწრიდან სოფლის თავში და სამი ბიჭი რომ „ორია“, „ორი დელას“ დასძახებს, მთელი სოფელი გაიხარებს: დედაკაცები ერთხმათ წამოიძახებენ: მოდიან ჩვენი ვაჟკაცები, ნაყვერბულა და სადილის ნარჩენი ლობიო ბლომათ დავახვედროთ“-ო.

ეს და მრავალი სხვა საბავშო სასიამოვნო სურათები უბრიალიბდათ თავში საჩინოს მოწყენილ მემკვიდრეებს და გლეხის ბიჭებს ნატრობდენ.

საუზმისთვის ნიფადორას ვახშამზე არაფერი მოერჩინა და ბავშებს კი უზმოთ გაძლება არ შეეძლოთ: მოითხოვეს, მაგრამ გადიამ ცივი უარი გამოუცხადა თონეს გახურებამდი.

დაეშვა ხუთი ქალ-ვაჟი ეზოს ბოლოსკენ, სადაც კ ხა და შავი ბლები ღობის ძირზე იყო ჩაყოლებული.

გაემწკრივნენ სანახევროთ მკუხე ბლებზე და მტრისასაც არ იზამს იმას კაცი, რაც ამ პატარა პატრონებმა ბლებს დღე დააყენეს. რაც ახალგაზდა ტოტები იყო, სულ მიამტვრ-მოამტვრიეს. ამას ვინდა ჩივოდა, რომ თვით უბედურობა არ სწვეოდათ.

ერთს ტოტი მოუტყდა, ძირს დაეშვა და რომ ჯოჯღანში არ გარჩენილიყო, ძირს სული არ დაყვებოდა, უმცროსმა ქალმა კაბა ხმელ ქიმს წამოსდო და ქვედა ტანი ზედა წელს სრულიად მოერღვა და შუაზე გაიფხრიწა.

გაიგონა ნიფადორამ ტირილი და ღრიანცელი, ფეხშიშველი ჩამოირბინა აივნის კიბეზე, კალოზე დაყრილი ფარჩხებიდან ამოარჩია მოგრძო წკნელი და დაეშვა თავხედი მოწაფეების დასატუქსავათ.

იცოცხლე, ნიფადორა იმათ დღეს დააყენებდა, რომ მისს საშუალო ქალს ჯოჯღანიდან ფეხების ამოღება მოესწრო, მაგრამ, სხვების საბედნიეროთ, მისი საყვარელი ქალიშვილი ორბოძალში იყო გაკვეხებული და სხვის მოუხმარებლათ თავს ვერ დააღწევდა.

ნიფადორამ ერთი კაბის გამფხრეწს შეჰკივლა და მეორე ხეზე გარჩენილს.

— კიბე, კიბე, მიშველეთო დაიყვირა ნიფადორამ.

ბოქაულის კაცმა კიბე მოარბენია და გულწასული ქალიშვილი ვიწროთ შეზდილი ტოტებიდან ძლივს ამოგლიჯეს.

ნიფადორა ისეთი მაგარი ძარღვ... პატრონი იყო, რომ გული იშვიათ... აუჩვილდებოდა, მაგრამ ახლა, რო... ამდენი ბავში ყორნებივით ბლებზე ... კაპული დაინახა და საყვარელი ... შვილი მეტად შეშინებული, მეორე ... ხეულ კაბაში მტირალე, თვითონაც გ... ლი აუჩუყდა და უნებლიეთ მწარე ცრ... ლები გადმოყარა.

ცრემლების თვითონაც შერცხვა: მო... წმინდა და ვაჟებს შესძახა, ჩქარა ჩამ... სულიყვენ, მაგრამ ნამტირალევი ხმა ... მრისხანე არ გამოდგა, რომ დედის ბრ... ნება ჩვეულებრივ აესრულებიათ:

— ცოტა გვაცალე და ჩამოვალთ... შეუბრუნეს სიტყვა ავგუნებაზე მყ... დედას.

ნიფადორამ ძალა იხმარა და, რო... გორც იქნა, წკნელით ამდენ უსაქმო... ერთად თავი მოუყარა და სახლის ... წინ გაიძღოლია.

გადია თორნიდან ცხელ მჭადებს გო... ზე ალაგებდა და პატარებს კოკრებ... მიაწოდა, მაგრამ დიდი ხალისით ა... ერთს არ ჩამოურთმევია, რადგანაც მ... ხე ბლით იყვნენ დამაძღარნი.

დღეის სადილმა საჩინოსას ძლიერ უ... მურათ ჩაიარა: სახსნილოც არა ჰქონდ... რა: საჩინოსას ახლა ძღვენი იშვიათ... მოჰქონდათ.

დრომ თავისი გაიტანა: ბოქაული ძლი... დასუსტდა მოხუცებულობით; ხსოვნამ სრ... ლიად უღალატა: ხანდახან უჩასტკი ... ჩანიკის სახელიც კი ავიწყდებოდა ... დიდი მოფიქრების შემდეგ თუ გაიხსენ... და ხოლმე სხვის ნათქვამს თუ ყ... მოკრავდა, თავისად იმეორებდა.

როცა მოწერილობა მოუვიდოდა გლ... ხების საჩივრის გამო, დაიბიჯგებდა ჯ... ტარიან საწერულს წინ სარტყელში ... ირჭობდა, გძელ ხელსახოცს გვერდ... სარტყელში ჩაიტნევდა და ჰიშკრისკენ ... უდგებოდა.

რომ უბედურება იზრდება დღითი დღე და შეიძლება მალე ისეთ მძლავრ ტალღად გადაიქცეს, რომელიც ძირს დასცემს და დააქვეითებს მთელს ჩვენს ცხოვრებას. იმგვარ ისტორიულ დროს, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, საჭიროა განსაკუთრებული სიმხნევე, გაცხოველება უოველგვარი საზოგადოებრივი, სოლიდარული მუშაობისა, და არა მიდუნება, მიუუჩება იმ მცირე ცხოველმყოფელისა, რომელსაც ჩვეულებრივ ვიჩენდით.

მოჰყავს რა მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ შარშან მთელ საქართველოში მცირე მოსავალი იყო, გაზეთი განაგრძობს.

3) საქმე ისაა, რომ ჩვენი სამშობლო შესაძლებელია ბრძოლის ასპარეზად გახდეს; მაშინ მიმოსვლა გაძნელდება, გაგზავნ-გამოგზავნა გაჭირდება, გზები შეიკვრება და ბევრიც რომ ვეცადოთ პური ვერსაიდან შემოვიტანოთ, ვერავის მივაწვდით და შეიძლება ისეთი შიმშილობა ჩამოვარდეს ჩვენში, რომლის მსგავსი დიდი ხანია არ განგვიცდია. ჩვენში საკმარისი პური და სიმინდი არაა, ეს ცხადზე უცხადესია; პური უნდა შემოვიტანოთ გარედან და ეს უნდა მოვაწყოთ დროზე, როცა შესაძლებელია, ადვილია.

ჩვენი საზოგადოება, ჩვენი დაწესებულებანი ვალდებულნი არიან დიდი სერიოზული ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს და ეხლავე, თორემ შემდეგ მისი გასწორება მოუხერხებელი იქნება".

## აღმოსავლეთ პრუსიის ფრონტზე.

**პეტროგრადი.** 6 იანვარი. „სამხედრო მთავრობა იუწყება, რომ აღმოსავლეთ პრუსიის ფრონტზე პირველ იანვრიდან 4 იანვრამდი არსებითი ცვლილება არ მომხდარა. გერმანელების მცირე მნიშვნელოვანი კერძო შეტაკებები ლეტცინის რაიონში, მათთვის დიდი ზარალით უკუვაგდეთ. დანარჩენ პუნქტებზე მხოლოდ მზვერავ ნაწილების შეტაკებები ხდებოდა. მდ. ვისლის მარჯვენა ნაპირზე მზავოს მიდამოებში 2 იანვრის ღამეს მტერმა უნაყოფო იერიში მოიტანა. მტრის ცდა პლოცკის რაიონში მდინარის მარცხენა ნაპირიდან მარჯვენა ნაპირზე გადმოსვლის შესახებ—უშედეგო იყო. 3—4 იანვარს რაძანოვოვ-ბეჟანის რაიონში ბრძოლა სწარმოებდა მდ. ვისლის მარცხენა ნაპირისკენ გაბრუნებულ მტრის ჯართან. მდ. ბზურის ნაწილებში 1—4 იანვრამდი მტრის ცდა იერიშების მოტანის შესახებ არ შეწყვეტილა. სოფლების: სუხა-ბორჟიმოვ-გომინ-გულკა-ვისუვკას რაიონებში ჩვენს პოზიციებისადმი ფარულად მოახლოვებისათვის გერმანელები საფრებით სარგებლობდენ. ადგილ-ადგილ მოდიოდენ საპებით. ყველა იერიში, მიუხედავათ იმისა, რომ მედგრათ და თავგანწირულათ მოქონდა, მოგერებულ იქნა. ღამით მოტანილი იერიშები ყოველთვის დროით იყო შეტყობილი ჩვენი პროჟეკტორებისაგან და მტერი უკუქცეული იქნა ჩვენი არტილერიის ცეცხლისაგან. 3 იანვარს გომინის რაიონში მტერმა მთელი რიგი იერიშები მოიტანა. იერიშებს არტილერიის ძლიერი ცეცხლი უწყობდა ხელს. მტერმა შესძლო ჩვენი ერთი სანგარის აღება. 4 იანვარს, ღამით, მამაცური კონტრიერიშებით სანგარი ისევ დავიბრუნეთ და შიგ მყოფი მტერი სულ მთლად ამოვჟლიტეთ. გერმანელების რამდენიმე ცდა—ხელახლა წაერთმიათ სანგარი, უნაყოფოთ დარჩა. დატყვევებულები იუწყებიან, რომ ბევრი დაჭრილი და ტიფით ავათმყოფები არიანო. ლოძში მდ. პილიცისა და ნიდის რაიონებში, უკანასკნელი დღეების განმავლობაში მტერი მხოლოდ საველე ზარბაზნებით იბრძოდა და ადგილ-ადგილ მძიმე ზარბაზნებით ცეცხლს აძლიერებდა, უმთავრესათ პინჩოვას რაიონში. აქტიური ბრძოლა მტერს არ უწარმოებია, ზაკრჟევას გარდა, სადაც 2 იანვარს სამჯერ მოიტანა იერიში, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ბრწყინვალეთ და დიდი ზარალით უკუაქცია იგი.

## ახალი ამბავი.

**მგოსანი აკაკი.**

✦ 6 იანვარს მიღებული ცნობების მიხედვით ჩვენი მცხოვანი მგოსნის ავათმყოფობა თანდათან სერიოზულ სახეს ღებულობს. მას სისუსტე ემატება, რითაც მგოსანი თავს ძლიერ ცუდათა გრძნობს. როგორც ამბობენ, აკაკი საავადმყოფოთ ქუთაისში ჩამოყავთ.

✦ თითქმის ყველა ქართულ გაზეთებში დაბეჭდილი იყო ცნობა, ვითომც ბ-ნ ია ეკალაძისათვის ნება არ მიეცათ გამოეცა გაზეთი „სამშობლო". ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია. ბ. ია ეკალაძემ ნებართვა უკვე მიიღო და ახლო მომავალშიც გამოსცემს ამ გაზეთს, რომლის დამატებისათვის კლიშეები უკვე მზადდება. „სამშობლო" გაგრძელება იქნება გაზეთ „იმერეთისა".

✦ 6 იანვარს, ნათლიღებას ქუთაისის საკათედრო ტაძარში მწირველი იყო იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი. წყლის კურთხევას ხალხი ბლომათ დაესწრო.

✦ 2 იანვარს, ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობის სხდომაზე ტ. მარგველაშვილმა წაიკითხა მოხსენება ბრინჯაოსაგან გაკეთებული ადამიანის გამოხატულების შესახებ, რომელიც ამ ზაფხულზე იპოვეს ბაღდადის მახლობლათ მდებარე მთაში. მომხსენებლის აზრით ნაპოვნი ნაშთი ეკუთნის ქრისტეს დაბადებამდის X—XI საუკუნეს.

✦ დღეს ქალაქის თეატრში შესდგება ქართული თეატრის სიამაყის ვლადიმერ მესხიშვილის ბენეფისი. მობენეფისე სდგამს ცნობილ პიესას „ედმონდ-კინი". კინის როლს შეასრულებს თვით მობენეფისე.

✦ ორშაბათს, 5 იანვარს ქალაქის თეატრში შესდგა აკაკი ფაღავას ლექცია „საქართველოს კულტურა XII საუკუნეში".

✦ ამ დღეებში თბილისიდან ჩამოვა თფილისის სამოსამართლო პალატა, რომელიც საქმეების გასარჩევად 20 იანვრამდის დარჩება.

✦ საოლქო სასამართლოში უქმეების შემდეგ საქმეების გარჩევა 7 იანვარს დაიწყო. იანვარში სულ 17 სხდომა იქნება.

✦ როგორც სოფლებიდან გვატყობინებენ თფილი ამინდების გამო ძლიერ გავრცელებულა სხვა და სხვა ავადმყოფობა. განსაკუთრებით ყვავილი. როგორც იწერებიან ყვავილის გავრცელებას ხელი შეუწყო დღესასწაულებმაც. მეზობლები ერთმანეთში გადადიოდენ და სახადს ამგვარათ ავრცელებდენ.

✦ ქუთ. ქალაქის გამგეობამ კავკასიის ქალაქთა კავშირისაგან მიიღო ჟურნალი, სადაც აღნიშნულ უნდა იქნეს გვარი და სახელი ომიდან მოყვანილი დაჭრილ ჯარის კაცებისა.

✦ ქუთაისის თითქმის ყველა სასწავლებლებში სწავლა 7 იანვარს დაიწყო. ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელში სწავლა 9 იანვარს დაიწყება.

## თფილისი.

— კვირას 4 იანვარს ახალ კლუბში გაიმართა ლიტერატურული დილა, სადაც ალ. შანშიაშვილმა წაიკითხა თავისი ახალი პოემა „ქალი გრძნეული". შემდეგ ი. გედევანიშვილის თავჯდომარეობით გაიმართა საუბარი ხსენებულ პოემაზე. საუბარში მიიღეს მონაწილეობა არჩ. ჯაჯანაშვილმა, კასრაძემ, გრ. რობაქიძემ, მ. წულუკიძემ, შალვა შარაშიძემ, მირიანაშვილმა და ს. ფაღიანმა, თითქმის ყველა მოლაპარაკეებმა აღნიშნეს რომ პოემა არაფერს ახალს არ გვეუბნებაო. დილას ხალხი ბლომათ დაესწრო.

— **ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭოში.** ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭომ ომის საჭიროებისათვის გადადო 1 მილიონი მანეთი. ამავე დროს აღძრა შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე რათა ძირითადი კანონების 87 მუხლის ძალით შემოღებული იქნას ერთი მეოთხედი კაპეიკიანი გადასახადი ფუთ ნავთზე. ხსენებული 1 მილიონი მანეთის დასაფარავათ.

— ტრამვაი. 5 იანვარს, დილიდან ტრამვაის მიმოსვლა შეწყდა მაზუთის უქონლობის გამო.

— ახალი ლაზარეთი. პ. კ. ზუბალაშვილმა თავისი შენობა, რომელშიაც სასტუმრო „ლონდონი" იყო, დაუთმო ომში დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტს ლაზარეთისათვის, რომლის მოსაწყობათ შესაფერი დგამით გადასდო 20,000 მან.

— გამოქცეულები. ნახიჩევანიდან ქალაქის მოურავს ხატისოვს არქიმანდრიტი სიონი ატყობინებს, რომ აყარებულმა გამოქცეულებმა მოიყარეს თავი. ფურნეებში ვერ ასწრებენ პურის გამოცხობას. 6000 სული სომეხი მოათავსეს ნახიჩევანის გარშემო სოფლებში. გამოქცეულთა შორის 10 ათასამდე ავადმყოფია.

— დაჭრილი ჯარის კაცების ჩამოყვანა. 3 და 4 იანვარს ჩამოიყვანეს ოსმალეთის საზღვრებიდან ერთი წყება დაჭრილი ჯარის კაცებისა. ნაწილი დაჭრილებისა მოათავსეს თფილისის სხვა და სხვა ლაზარეთში, ხოლო უმეტესობა გაამგზავრეს რუსეთში. შაბათს 3 იანვარს, ღამით გააგზავრეს დონის როსტოვში ოსმალეთის საზღვრებიდან ჩამოყვანილი შემდეგი დაჭრილი ქართველი ჯარის კაცები: პარმენ მამულაიშვილი, ოზურგეთის მაზრა, გიორგაძე იესე, ტორონტაძე ივლიანე, ოზურგ. მაზრა, ზაქარია ლაცაბიძე, ოზ. მაზრა, სევერიან მემანიშვილი, სიქნარუა-შორაპ. მაზ., კიმოთე წულაძე, ოზ. მაზრა, ტრიფონ თედორაძე, ოზჩა-ქუთ. მაზრა, გიორგი ხადიაშვილი, თიანეთი, ივანე რაზმაძე, რაჭა სოფ. დიდიშავრა, გიორგი გოგნაძე, შორაპნის მაზრა, დავით უთმელიძე, რაჭა—დიდიშავრა, პავლე ფუტკარაძე, სენაკის მაზრა, ვიქტორ კობახიძე, სვირი, პავლე [illegible]ჩაძე, აბაშა, ესვევი ზედგინიძე, [illegible]ხის მაზ., ფეხები აქვს გაცივებული. მაქსიმე შონია, სამურზაყანო, [illegible] რულავა, სენაკის [illegible] იაკობ შარვაშიძე, ვანთური, კახეთი, რაჟდენ ყუბარაძე, ნაოლალევიდან, ფეხები აქვს გაციებული, მიხეილ გუჯაშვილი, თვალებში მიწა ჩაცვივნია, ზაქარია მჭედლიშვილი, გორის მაზ. თვალში მიწა ჩაცვივნია და ლუნან კარაპეტოვი, სომეხია, ახალქალაქიდან, სოფ. ბარალეთი. ყველა ზევით ჩამოთვლილი პირები არიან მსუბუქად დაჭრილი. ზოგი ფეხში და ზოგი ხელში.

— სომხების, ქართველების და რუსების საქველმოქმედო საზოგადოებათა წარმომადგენლებისაგან შესდგა კომიტეტი ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვრებიდან გამოქცეულების დასახმარებლათ. კომიტეტში მონაწილეობის მისაღებათ მოიწვევენ პრესის წარმომადგენლებს. კომიტეტი ეძებს გამოქცეულთათვის საცხოვრებელ ბინებს და სთხოვს სახლის პატრონებს, ვისაც თავისუფალი ბინები აქვს აცნობოს ამის შესახებ კომიტეტის მდივანს მ. შახპარონიანც, სოლოლაკის ქუჩა, № 12.

— 3 და 4 იანვარს ჩამოიყვანეს სარიყამიშთან ბრძოლის დროს დატყვევებული ოსმალები. მათ შორის იყო 17 ოფიცერი. ყველა ესენი იგზავნებიან რუსეთში.

## წესდებანი

**შესახებ განათლების სამინისტროს უწყების სამოსწავლო დაწესებულებათა (სკოლებისა) კლასებისა და კურსებისა, რომელთაც არა აქვთ მთავრობის სასწავლებელთა უფლებანი.**

1) ერობებსა, ქალაქებსა, წოდებათა, სამრევლოებსა და აგრეთვე კერძო საზოგადოებებს რუსეთის ქვეშევრდომსა და 25 წელს გადაცილებულ თითოეულ პირს, მდედრობითისა თუ მამრობითის სქესისას, ნება ეძლევათ დაარსონ (შეინახონ) სამოსწავლო დაწესებულებანი, კლასები და კურსები, თანახმად ქვემოაღნიშნულ წესდებისა.

2) სამოსწავლო დაწესებულებანი, კლასები და კურსები, დაარსებულნი ამ წესდების თანახმად, იწოდებიან კერძო სასწავლებლებად.

3) სამოსწავლო დაწესებულებანი, კლასები და კურსები შეიძლება იყოს: საზოგადო განათლების, სპეციალური და პროფესიონალური. ამასთანავე საზოგადო განათლების სასწავლებელი შეიძლება შეუერთდეს სპეციალურს, გინა პროფესიონალურს. კლასებისა და კურსების

---

— ყმალო, ყმალო, მიაძახებდა ნიფიდორა, ყმალო, ფაფანაკი დაგრჩენია, ფაფანაკი!

საჩინო თავზე ხელს მოისვამდა და წამოიძახებდა,—ფუ ეშმაკს, რა უბედურებაა ასეთი გულმავიწყობა! მაშინვე ხელს მიის-მოისვამდა, საწერელი, ხელსახოცი და ხორცის სათალი დანა ხომ არ დამრჩენიაო.

ამ დროს ფაფანაკიც ჰიშკარზე მოუსწრებდა და საჩინოს გაჩიჩინებულ თმაზე გაიშლებოდა.

აი, საჩინო გლეხისას შევიდა, მაღალი სადილობაა. ტალავერ ქვეშ, პურის თავებზე ჩინებული ჩრდილია. მომჩივან-მოპასუხე და მათი მოწმეები აქ მოგროვიან. მსაჯულს დაბლათ თავი დაუკრეს და სამფეხა ფართო სკამი მიართვეს. საჩინომ შესაფერი გამარჯობა უთხრა და დაბრძანდა.

მომჩივან მოპასუხეს მოუსმინა, მოწმეებს რაღაცები კითხა და იმწამსვე განჩინების წერას შეუდგა, თურმე სადილი მზადდებოდა: ყველამ შეატყო.

სუფრები გამოიტანეს. ბოქაულისთვის ხალი გარეცხილი სუფრა დადგეს.

საჩინოს მუხლზე ლურჯი ქაღალდი აუშლია და სწერს; ხშირათ ისვენებს; ითომ ფიქრობს კიდეც.

დიასახლისს ახალი მოშუშებული ლობიო ქვაბით გამოუტანია და ჩოგნით სუფრებზე აგებს.

მომჩივანი მივიდა თავის დიასახლისთან და გასაგონათ უთხრა: საჩინოს დიდი ნაგება ღომი დაუგე, ინდოურის კურტუმს მკერდი და გულჩანართმევიც გააყოლე; ჩვილი ხორცი თუ არ იქნა, ისე ვერ მიირთმევს...

— ბატონო, სადილი გაცივდება, თუ დროზე არ გაათავებთ წერა, მოახსენა ნაცვალმა.

საჩინომაც კალამი ყურს უკან გაიჩარა და განჩინება მღვდელს გადასცა წასაკითხავათ. სულიერი მამა სწორეთ ამისათვის მოეწვიათ. ღვდელმა ჯერ ამოიკითხა ორიოდე სიტყვა საქმის გარემოების შესახებ, მერმე მომჩივან მოპასუხის სახელი და გვარი და შემდეგ ზედ მიაყოლა: საჩინოს დიდი ნაგება ღომი დაუგეთ ინდოურის კურტუმის გულჩანართმევი და გვერდიც მოაყოლეთ, თორემ თუ ჩვილი ხორცი არ იქნა, ვერ მიირთმევს...

საჩინო გაოცდა, გლეხებს სიცილი აუტყდათ.

საჩინომ ცოტა ეს იწყინა: თავის კალამს არ დაუჯერა და ბრძანების კილოთი ღვდელს მიმართა: განაგრძე, მამაო, ხუმრობის დრო მერმე იქნება. ღვდელი გაგრძობას მოუფრთხილდა: თურმე მერმე და მერმე უარესი და უარესი იყო დაწერილი:

როცა გარო და ხარშო გაეშინჯა ღედამთილს, წვენი არ მოსწონებოდა და რძლისათვის ესაყვედურნა.

ღმერთმა ასეთი სირცხვილი მტერს დამართოს! ხომ თავი მოგვეჭრა: ხარშოს მარილი აკლია და გაროს სრულიად ზაფრანა არ აქვს.

მეხსიერება მოკლებულს საჩინოს დიასახლისის მწუხარებაც აქ განჩინებაში მიეყოლებია.

საჩინოს დაჟინების გამო ღვდელმაც უარი ველარ გაბედა, კითხვა განაგრძო; ღმერთმა ასეთი სირცხვილი ჩემს მტერს დამართოს! ხომ თავი მოგვეჭრა: ხარშოს მარილი აკლია და გაროსთვის სრულიად ზაფრანა არ მიგირთავსო. საჩინოს ულუფას მაინც ზომიერათ მოაყარეთ.

საჩინო ახლა მთლათ სახტათ დარჩა, გულმოსულობის გამო ნიკაპი აუძიგძიგდა, თავისი ცოდვის გადაბრალება ღვდელს დაუპირა, განჩინება ხელიდან გამოგლიჯა და მიხიმოხა.

— მამაო, სადაც ხუმრობა გაგივიდეს, იქ იხუმრეო, შესძახა მოქაულმა.

მოიბრუნა პირი, საბიჯგი აიღო და შინისაკენ წასვლა დააპირა.

მივარდენ საჩინოს, აქიდან, იქიდან დიდი ვედრებით ღვდელმა დიდი ბოდიშიც მოითხოვა. მომჩივან მოპასუხემ დაჟინებითა სთხოვეს, განჩინება ნასადილევს დაეწერა.

საჩინოს თავმოყვარეობა ამით სრულიად დაკმაყოფილდა: სადილათ დასხდენ. ღვდელი მოწიწებით იქცეოდა. სადღეგრძელოები გაჩაღდა. ლაპარაკი შერიგებაზე ჩამოვარდა. საჩინოც გრძნობდა, რომ კალამი აღარ ემორჩილებოდა. მეორეთ სირცხვილის ჭამას დაერიდა და სადღეგრძელოში შესარიგებელ ჰანგზე შეაყოლა, ეგებ განჩინების დაწერას გადავურჩეო.

საქმე შერიგებით გათავდა, მაგრამ ვინც კი იქ იყო, ყველა დარწმუნდა, რომ საჩინო ბოქაულათ აღარ ვარგოდა.

ამაში საჩინოც დარწმუნებული იყო, მაგრამ ნიფოდორას როგორ გაუმხელდა? ეს ხომ ცხოვრების წყაროს დაშრეტა იქნებოდა. ამხელა ოჯახი ხომ შიმშილით უნდა დანელებულიყო, თუ სხვა სახსარი არ გამოუჩნდებოდათ.

ნიფოდორას ბევრნაირი პლანი და მოსაზრება ჰქონდა გამონგარიშებული შავი დღისათვის, მაგრამ კოჭი ალჩუზე დაუჯდებოდა თუ არა, ეს იღბლის საქმე იყო.

ყველაზე უფრო საიმედოთ და კანონიერათ ორი რამ მიაჩნდა: ქალიშვილები უმზითვოდ შეძლებულებს უნდა მივათხოვო და ვაჟებს მზითვიანი ქალები ვუთხოვო, თორემ სხვა საშველი არ მაქვსო, იტყოდა ხოლმე ნიფადორა, როცა საჩინოს მუხლებმა კანკალი დაუწყო და ადგომ-დაჯდომა მოუხმარებლათ უძნელდებოდა.

ქალებს ოჯახობის არა გაეგებოდათ-რა და ვაჟებს მუშაობის: ამაში თვით ნიფადორა იყო დამნაშავე. ქალიშვილებს სამზარეულოში არ შეუშვებდა და ვაჟებს ყანა-ბოსტანსა და ვენახში ფეხს არ შეადგმევინებდა: თოხის დაკვრა და სამარგლის ხმარება ხომ აზნაურის შეურაცხება იქნებოდა.

მოწიფულმა ახალგაზდებმა მხოლოდ წვრილფეხა ნადირებზე და ფრინველებზე ნადირობა იცოდენ და წრფელი სოფლური სიმღერების შეკიკინება.

ნიფადორას პლანებს ფრთები ეკვეცებოდა. არც სასიძო ჩნდება, არც სარძლო. ქალიშვილებს გათხოვება ენატრებათ, ვაჟებს ცოლის თხოვა. ნიფადორა გრძნობდა ამას და იტანჯებოდა; იტანჯებოდა საშინლათ.

საჩინოს ნაჩანიკმაც ხელი აალო, რადგანაც ამდენი კალთის ფარება აღარ შეიძლებოდა.

რა ქნას ნიფადორამ? ქმარი მოსავლელი და სარჩენი, შვილები თავდასადგმელი და ესენიც სარჩენი. ორი გლეხის ნამუშავერი, ორი გლეხისა, რომელნიც კვირაში მხოლოდ ორ-ორ დღეობით არიან ვალდებული ბატონისას მუშაობისა, რას გახდებოდა ამდენი სარჩენისათვის?!

სადილობის დრო იქნებოდა სწორეთ, როცა ნიფადორამ ბეოლის ძირს ერთი საშინელი კივილი მორთო და გარდაიქცა. მთელი სოფელი შეიყარა; სოფლის დედაკაცები, ღვდელი და მისი მეუღლე, გლეხები, ნაცვლები თავს ეხვეოდენ და არ იცოდენ რა ექნათ. წყალი შეაშხეფეს, ძმრით ცხვირი და ყურები დაუსრისეს, მაგრამ დიდხანს ვერ მოასულიერეს. გვიან მოითქვა სული, მაგრამ ცნობა დაკარგოდა. შვილებმა ოდაში შეიყვანეს და მწოლიარე საჩინოს ტახტის ბოლოზე მიაწვინეს. ყველა წავიდ-წ მოვიდა, ღვდლისა და მისი მეუღლის გარდა.

იმ ღამეს ღვდელი იქ დარჩა; საყდრიდან დიაკონს ოლარი, კურთხევანი და ზეთი მოატანია და ზეთის კურთხევას შეუდგა.

სახარების ყოველ წაკითხვისას და ზეთისცხების დროს წამოვარდებოდა გადარეულივით და ხან მიცვალებულ დედამთილს, ხან მამამთილს, ხან სოფლის გლეხის ქალებს და გლეხებს ელაპარაკებოდა: ვითომც ისინი საიქაოდან საიქაოს გულნატკენი გადაცვლილან; ბევრთან სასაყვედურო ჩარჩენიათ გულში და ახლა ნიფადორას აყენებდენ მოციქულათ და საყვედურის სათქმელად.

ამასობაში გათენებამაც მოაწია. ღვდელმა თავის საქმე გაათავა. ავათმყოფსაც მიეძინა.

კვირა ნაწირვებს ღვდელს მთელი სოფელი ეკითხებოდა ნიფოდორას ამბავს.

მღვდელმა და დიაკონმა იმნაირათ განდასცეს მრევლს ნიფადორას ავათმყოფობა, რომ ყველა ჩაფიქრდა, ყველა გაცვიფრდა და ნიფადორას ასეთ გარდაქცევაში დიდი საწაული დაინახეს.

ორ კვირას შემდეგ ნიფადორას ეზოში მთელი სოფლის დედაკაცობა ფუსფუსებდა. ნიფადორა თავის ოთახში ბრძანდებოდა, ბანქოსა შლიდა, ლობიოს ყრიდა და ძლიერ ოსტატურად და მიმხდურათ მარჩიელობდა. ახლა ბოქაულზე უფრო დიდი შემოსავალი ბოქაულის მეუღლეს მისდიოდა.

ბოქაულის კაცი ახლა ძღვენის მიღებას არავის არ უმალავდა: როგორც ყველა ამტკიცებდა, ეგ ძღვენი კი არა, კანონიერი ხელფასი, შრომის სასყიდელი იყო.

ნიფადორას საყვედურს მეძღვნეებისაგან ვერ გაიგონებდი: „ღვთის მოციქულს" მეტიც ეკადრებაო, ბოდიშით ეტყოდენ ხოლმე წინანდელ ბოქაულისა და ახლა კი მარჩიელის კაცად ქცეულს ლუკას, როცა სამარჩიელოს ჩაბარებდენ.

**სამსონ ყიფიანი.**

მოწყობა შეიძლება, როგორც უკვე არსებულ სასწავლებლებთან, ისე ცალკე.

4) კერძო სასწავლებლები, კლასები და კურსები სამი ჯურისაა: **დაბალი სასწავლებელი**, რომლის პროგრამაც არ აღემატება უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლებისა, განა მთავრობის სახელოსნო სკოლების პროგრამას; 2) **საშუალო სასწავლებელი**, რომლის პროგრამაც საზოგადოთ აღემატება უმაღლესს სასწავლებელთა პროგრამას და უდრის მთავრობის საშუალო სასწავლებლების პროგრამას და 3) **უმაღლეს სასწავლებელი**, რომლის პროგრამაც აღემატება მთავრობის გიმნაზიისა და საზოგადო მთავრობის სხვა საშუალო სასწავლებელთა პროგრამას.

**შენიშვნა.** კერძო სამოსწავლო დაწესებულებანი, კლასები და კურსები დაარსებულნი დაბალ სასწავლებლების მასწავლებლების მოსამზადებლად, საშუალო სასწავლებლებათ ჩაითვლებიან.

5) კერძო სასწავლებლები, კლასები და კურსები შეიძლება იყოს 1) ცალკე ქალებისათვის და ცალკე ვაჟებისათვის, ან კიდევ 2) შეიძლება დაარსდეს შერეული სასწავლებელიც, სადაც ქალ-ვაჟნი ერთად ისწავლიან.

საშუალო კერძო შერეულ სასწავლებლის ნებართვას იძლევა სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, უმაღლეს შერეულ სასწავლებლისას-კი—განათლების მინისტრი. ეს სასწავლებელი უნდა მოეწყოს იმ წესზე, რა წესსაც უჩვენებს სათანადო მთავრობა ნებართვის მიცემის დროს.

6) ამ გვარ სასწავლებლებთან შეიძლება დაარსებულ იქნეს პანსიონიც. შერეულ სასწავლებლებთან პანსიონის დასაარსებლად აუცილებლათ საჭიროა სათანადო მთავრობის ნებართვა. (მუხლი 11).

7) კერძო სასწავლებლებისა, კლასებისა და კურსების დამაარსებელთ (შემნახველებს) სრული ნება აქვთ ამოირჩიონ სამასწავლებლო ენა (ე. ი. ასწავლონ იმ ენაზე, რა ენაზეც სურთ) იმ პირობით კი, რომ რუსული ენა და სიტყვიერება, აგრეთვე სამშობლო სახელმწიფოს ისტორია და გეოგრაფია ისწავლებოდეს სახელმწიფო ენაზე. იმ კერძო სასწავლებლებს, კლასებსა და კურსებზე კი, რომლებიც ინახებიან ერობისა და ქალაქების ხარჯით, ან რომლებსაც ეს უკანასკნელნი ეხმარებიან, გარდა ღვთის სჯულის საღმთო წერილისა და სამშობლო ენისა, სხვა საგნები სახელმწიფო ენაზე უნდა ისწავლებოდეს.

(შემდეგი იქნება.)

## ომში დაჭრილი ქართველი ჯარის-კაცები.

### მოსკოვში.

აღმოსავლეთ პრუსიის ფრონტიდან:

1. ვარაზაშვილი, ლევან თედოს ძე, სიღნაღის მაზრა, სოფელ ჩუმლაყი, დაჭრილია ხელში ტყვიით.

2. იაკობაშვილი, ვლადიმერ ივანეს ძე, სიღ. მაზრა, სოფ. შრომა, დაჭრილია ხელში ტყვიით.

3. ნოზაძე, სიმონ გრიგოლის ძე, გორის მაზ., სოფ. ალი, დაჭრილია მკლავში შრაპნელით.

4. ჩადუნელი, გიორგი ზაქარიას ძე, გორის მაზრა, დაჭრილია თითში.

5. ქავაზიური, დავით დიმიტრის ძე, თიანეთის მაზრა, სოფ. ახმეტა, დაჭრილია მკლავში შრაპნელით.

6. გედეშვილი იოსებ ლაგას ძე, თიანეთის მაზ., სოფ. ძაგლიაური, დაჭრილია ფეხში და ხელში შრაპნელით.

7. ჰუქურაშვილი, სიმონ ნესტორის ძე, თელავის მაზრა, ს. შაშიანი, დაჭრილია ხელში ტყვიით.

8. მუხაგვერდელი, იოსებ ილიას ძე, დუშეთის მაზ., სოფ. სერევოთი, დაჭრილია ხელში ტყვიით.

9. დადიაშვილი, კოსტა როსტომის ძე, დუშეთ. მაზრა, ს. ნავოზი, დაჭრილია მარცხენა ფეხში შრაპნელით.

10. ქავთარაძე, გიორგი სიმონის ძე, თფილისის მაზ., ს. ფასანაური, დაჭრილია ხელში ტყვიით.

11. მუჩიაშვილი, სიმონ ისაკის ძე, თფილ. მაზრა, ს. პატარძეული, დაჭრილია თითში ტყვიით.

12. ჰოჭუა, ათანასი ანტონის ძე, სენაკის მაზრა, სოფ. აბაშა, ორივე ფეხები აქვს მოყინული.

13. წურწუმია, კიმოთე პეტრეს ძე, ზუგდიდის მაზრა, სოფ. დიდინეძი, დაავადებულია რევმატიზმებით.

14. ქურთელია, მიხა ჯერგეს ძე, ზუგდიდის მაზრა, სოფ. [illegible], დაჭრილია ხელში შრაპნელით.

15. წულაია, პეტრე კოსტას ძე, ზუგდიდის მაზრა, სოფ. ხორგა, დაჭრილია მკლავში შრაპნელით.

16. ხუბულავა, მიხა პავლეს ძე, ზუგდიდის მაზრა, სოფ. ჰაქვინჯი, დაჭრილია თითში ტყვიით.

17. კანკავა, ეგნატე გიორგის ძე, ზუგდიდის მაზრა, ოქუმი, დაჭრილია ხელში ტყვიით.

18. გვილია, მიხა თომას ძე, ზუგდიდის მაზ., ყულიკარი, დაჭრილია ხელში ტყვიით.

19. კუპრაშვილი ნესტორ, შორაპნის მაზრა, სოფ. ცუცხათი, დაჭრილია ხელში ტყვიით.

20. შეყრილაძე, ისმაილ, შორაპნის მაზრა, სოფ. ხრეითი, დაავათმყოფებულია რევმატიზმებით.

21. მაკარიძე, კოსტა დიმიტრის ძე, შორაპნის მაზრა, სოფ. თერჯოლა, დაავათმყოფებულია.

22. ყურაშვილი, გრიშა ანდრიას ძე, ლეჩხუმის მაზრა, სოფ. მუხანელი, დაჭრილია ხელში ტყვიით.

23. მახარობლიძე, გაბრიელ კაციას ძე, ლეჩხუმის მაზრა, სოფ. ლადჯანა, დაჭრილია ხელში ტყვიით.

24. გენელიძე, გიორგი დიმიტრის ძე, ქუთაისის მაზრა, სოფ. სადემეტრაო, დაჭრილია ხელში ტყვიით.

25. ცერცვაძე, ილია პავლეს ძე, ქუთ. მაზრა, ს. სიმონეთი, დაჭრილია ხელში ტყვიით.

26. ნუცუბიძე, ილია ფიქრის ძე, ქუთ. მაზრა, სოფელი დიდიჯიხაიში, დაჭრილია ხელში ტყვიით.

27. იაკობაშვილი, კონსტანტინე იოსების ძე, შორაპნის მაზრა, სოფ. საჩხერე, დაჭრილია ფეხში შრაპნელით.

დაჭრილთა მისამართი: Москва, лазаретъ О—ва Грузинъ, Поварская д. Суходольскаго, для студ. Гр. Дм. Цеквашвили (для раненныхъ).

ამავე მისამართით მიიღება აგრეთვე ყოველგვარი შემოწირულობა (წიგნები, ჟურნალები და გაზეთები).

**სტ. გრიშა ცეკვაშვილი.**

**ოსმალებთან ომში დაჭრილი ქართველი ჯარის კაცები.**

ამჟამათ არამიანცისეულ საავათმყოფოში იმყოფებიან შემდეგი დაჭრილი ჯარის კაცები: ზაქარია იაგორის ძე ჩახუნაშვილი, ს. კარდანახიდან. მიხეილ დავითის ძე ჩომახაშვილი, ს. ლუბნიდან (კრილობა აქვს სამ ალაგას). კაციტაძე პორფილე სარდიონის ძე, ს. მუხლიდან. მდინარაძე ვლადიმერ ვახტანგის ძე ს. ჯვარცხმიდან. მდინარაძე სტეფანე (?) ანტონის ძე, ს. ჯვარცხმიდან. კვაჰანტირაძე ბესარიონ ფილიპეს ძე, ს. ხიდისთავიდან. ზენაიშვილი გიგინია მიხას ძე, ს. ლანჩხუთიდან. ჩიხლაძე მიხა ყარამანის ძე, ს. გორდიდან.

ყველა ამათ საშიში კრილობები არ აქვთ.

**ომში დაჭრილი ქართველი აფიცრები.** ამჟამათ არამიანცისეულ საავათმყოფოში იმყოფებიან შემდეგი დაჭრილი ქართველი აფიცრები: მარკოზ პავლეს ძე ბედელიანი, ზუგდიდიდან. ივანე გიორგის ძე ბასილიძე, ს. ქვემოხეთიდან. სევერიანე გიორგის ძე კუპუხიძე, ქუთაისიდან. ქაიხოსრო იოსების ძე ჩოლოყაშვილი. ს. მატენიდან. დიმიტრი ესტატეს ძე ჯაჯანაშვილი, ს. კავთისხევიდან. გიგა ისაკის ძე მენთეშაშვილი, ს. ქვემოშჩხანიდან (კუჭის ტკივილითაა ავათ).

## პატარა ფელეტონი.

## დარბაზობა.

(საამიკოთ, სალაღობოთ ამხანაგის სართეველათ).

გადავწყვიტე ამ უქმეებში სადარბაზოთ არ მევლო და ამიტომ ასეთი წერილი დავსწერე: ბ-ნო რედაქტორო! რადგანაც სახალწლო დარბაზობა ცოტა არ იყოს უბრალო დროს დაკარგვათ მიმაჩნია, გახლებთ ხუთ მანეთს და გთხოვთ ეს ფული გადასცეთ როგორმე საქველმოქმედო საზოგადოებას.

ეს წერილი რომ გავათავე, ჩემ კაბინეთში შემოვიდა ჩემი ცოლი, სახალწლო სამზადისზე დამიწყო ლაპარაკი და იმდენი რამ მომთხოვა, რომ არამც თუ ხუთი მანეთი მისცა ვისთვისმე, მანეთში ხამ ამაზე სარგებელს მივცემდი [illegible] ოლონც კი ჩემი ლამაზის თხოვნა დამეკმაყოფილებინა.

ამგვარად ჩემი კეთილი სურვილი სურვილადვე დამრჩა და სახალწლოთ ისევ ხეტიალი დამჭირდა.

მოგეხსენებათ ცხოვრება ცერემონიებისაა და უფროსს მაინც შენი უმცროსობ, რომ არ აჩვენო, სამსახურში აღარ დაგაყენებს.

ღვთის მადლით, ბევრს აჰავის ვიცნობ და ამ მხრით ცოტა არ იყოს გული გავიკეთე.

ახალ წელიწად დღეს მშვენიერი დარი იდგა, ყველანი გარეთ გამოსულიყვნენ და მზეს შეჰხაროდენ. ახალგაზდები ბულვარის თავსა და ბოლოს დახვეოდენ, გეგონებათ თაფლი აცხიაო ამ ადგილას. თაფლისა რა მოგახსენოთ და აქ მეტისმეტი ვიწრო ადგილია და ქალიშვილი არც ერთი არ გამოგეპარებათ.

დამდგარიყვენ ეს ტალიკ-ტალიკი ბიჭები, ქუდები გვერდზე მოეგდოთ და თვალებს ქორებივით აცეცებდენ. დალოცვილი ქალიშვილებიც მწყერებივით დაგოგმანობდენ და გედებივით დაყელყელაობდენ. იყო ერთი სიცილი და ხითხითი და ხორა. ოხუნჯობასა და ქათინაურებს ხომ დასასრული არა ჰქონდა.

ბულვარის ბოლოში სწორედ მაშინ მომიხდა გავლა, როცა ხუთი თუ ექვსი შოლტივით ტანაყრილი ახალგაზდა დახვეოდა ერთ პაწია, მუჭის ოდენა, მაგრამ ზიზილა თვალებიან გოგონას და ათასგვარ ენაზე, გარდა ქართულისა, საალერსო სიტყვებს ჩასძახოდენ. ცირაც ტრფობით გადაქცეულიყო და ფისუნიასავით ლამაზ თვალებს კრუტავდა.

ვუყურე, ვუყურე და მომენატრა ახალგაზდობა, თუმცა მორალისტობამ წამძლია და წავიდუდუნე:

ცემა გმართებს გამზრდელისა,

რომ ყმა ნახო ცუდათ ზრდილი—მეთქი და ის ის იყო სხვა ლექსიც უნდა მომეყოლებინა, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ ისეთი მუჯლუგუნი მკრა, რომ ენა მოვიკვნიტე.

საზოგადოთ ქუთათურებმა სიარული არ იციან.

როგორც იყო გავცდი მოხარხარე ჯგუფს და ქალაქის გამგეობისაკენ გავსწიე. აქ დამხვდენ ახნაგები, ძალათ ჩამისვეს ეტლში და საქეიფოთ წამიყვანეს. საღამოზე რო დავბრუნდი, ცოლი ნამტირალევი დამხვდა, შვილები კი—გაბუტულები. თურმე ცოლს სახალწლო კაბა განიერი მოსვლოდა შვილების პაწია „შობის ხე“ კი კატას წაექცია და სათამაშოები სულ დაემტვრია.

მე კი კაი გუნებაზე გახლდით. მინდოდა, სიცილი, ხუმრობა, ოხუნჯობა, მაგრამ, როცა ცოლი გაჯავრებულია, არც ერთ ქმარს მხიარულების ნება არა აქვს!

მეც მოვიღრუბლე... ცოტა ხანს ვივიშვიშე, ცოლის დასამშვიდებლათ მკერავ ქალს შევუკურთხე და მერე ჩემი ოთახისაკენ გავსწიე.

აქ მოვუჯექ საწერ მაგიდას და ფიქრებს მივე თავი.

პირველ ყოვლისა ვფიქრობდი მოდის მომგონებზე... რა ჰკუის, რა ჯურის ხალხი უნდა იყონ-მეთქი—ვეკითხებოდი ჩემ თავს—გიჟებია თუ ჰკუიანები?

— რასაკვირველია ჰკვიანები!—მომესმა მეორე ოთახიდან ჩემი ცოლის ხმა. თურმე ბავშვებს არიგებდა და გიჟებს ჰკვიანები ამჯობინა.

მე კი ფიქრი შემაწყვეტინა და მოდის მომგონებიდან ჩემ ნაცნობებზე გადავედი.

— რას იტყვიან რომ არ ვინახულე? კვლავ დავეკითხე ჩემ თავს.

— ვინ იცის ბევრს გაეხარდა კიდეც, რომ არ შევაწუხე.

ზოგი ადამიანი აღდგომასაც ავია, არამც თუ ახალწელიწად დღეს...

მე მაინც გადავწყვიტე ბარათები მიმეწერა მათთვის. ესეც ერთგვარი ჩვეულება, ცერემონიაა.

მოვიმარჯვე კალამი და დავიწყე მილოცვები...

დავწერე, ჩავაწყე კონვერტებში და გავწიე ფოსტის ყუთისაკენ.

ბინიდან რომ გამოველ ხელში ერთი ბლუჯა კონვერტებისა მეჭირა, ფოსტის ყუთთან კი რო მივედი სულ ხუთი ექვსი კონვერტი და დავითვალე.

შეეკრთი!..

ცოტა გულმავიწყი გახლავართ და ვიფიქრე იქნება დანარჩენი კონვერტები საწერ სტოლზე დამრჩა მეთქი. საჩქაროთ უკან გამოვბრუნდი. შემეშინდა ჩემ ცოლს არ ჩავარდნოდა ხელში.

არ უყვარს, როცა ვისმე წერილებს, ან ბარათებსა ვწერ...

მოვედი შინ, გადავაბრუნე მთელი ქაღალდები, მაგრამ ვერა ვიპოვნე რა... მეორე დღეს ჩემ განცვიფრებას სამზღვარი აღარა ჰქონდა:

დილა ადრიან ბიჭმა გაზეთი შემომიტანა. გადავშალე თუ არა, ჩემი **მილოცვები** კი დახვდა დაბეჭდილი.

თურმე ნუ იტყვით... კონვერტები გზაში დამკარგვოდა... ალბათ ვინმე მეგაზეთემ ქუჩაში იპოვა და რედაქციაში ამოაყოფინა თავი!

დავწყევლე ჩემი გულმავიწყობა..., მაგრამ თავი იმით ვინუგეშე, რომ ჩემზე უარესი გულმავიწყები სხვა უფრო ბევრია ქვეყანაზე... მაგალითად მე ვიცნობ ერთ ექიმს, რომელიც თავვამოდებით მიმტკიცებდა, რომ ლვინის თითოლოლი წვეთი კი შხამიაო, მაგრამ შუა-ღამეს - როდესაც წვია თვითონ კაი ორი ბოთლიც გადახუხა, ან კიდევ...

ესევე ექიმი მასწავლიდა: რამდენი წუთი უნდა იყოს კვერცხი ადუღებულ წყალში, რომ კვერცხი თოხლოთ მოიხარშოს. (მაგრათ მოხარშული კვერცხი თურმე კუჭსა სწყენს. ეს ოხერი კუჭი, ყველა მას ემსახურება).

ერთხელ ჩემსას ყოფნის დროს ამ ექიმმა მოატანინა ადუღებული წყალი, ერთ ხელში საათი დაიჭირა მეორეში—კვერცხი, ერთხელ კიდევ გამიმეორა თავისი დარიგება და ისე გაერთო მეცნიერულ ლაპარაკში, რომ კვერცხის მაგიერ ადუღებულ წყალში საათი კი ჩააგდო.

დიახ, ბევრია გულმავიწყი კაცი,.. და მათ შორის დაე მეც ვიყო...

გულმავიწყობა კი არ არის ავკაცობა, არამედ გულგრილობა საზოგადოებისადმი და მე კი ღმერთმა, ხომ იცის, ეს სენი არა მჭირს.

**სკვინჩა.**

**შენიშვნა ახოთ-ამწყობისა.** ეს არის ახლა მივიღეთ ბატონ სკვინჩას წერილი. თვალ-ცრემლიანი გვეხვეწება:

„კიდევ მომიარა გულმავიწყობამ. აღარ გამახსენდა, რომ ჩემ გუშინწინდელ „მილოცვებს“ ბოლოში „შემდეგი იქნებაო“ აწერია. გენაცვალეთ, ჩემი „დარბაზობა“ დამიბრუნეთ... უნდა მილოცვები დავუმატოო“.

სამწუხაროთ ვერ ვასრულებთ ბ. სკვინჩას თხოვნას. ფელეტონი უკვე აწყობილია და რომ ამოვიღოთ—უფროსი გაგვიჯავრდება. ვურჩევთ ბ. სკვინჩას შემდეგი მილოცვები გადასდვას საგაისოთ, რასაც ღმერთმა ყველანი დაგვასწროს...


სავაჭრო დ. ქებაძისა.

ვორონცოვის ქუჩა.

იყიდება ნარდათ ყოველგვარი საბაკალეინო საქონელი უტყუარ ფასებში. 10—2

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საღვთო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული კარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი.

გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ. თ.

თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება . . . . . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . . . . 20 „
3) მღ. პ. ცქიტიშვილი ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . . . 15 „
4) ქართული მოძრავი ანბანი ქაღალდზე . 10 „
„ იგივე, კარდონზე გაკრული . . 25 „
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექტიანი . 50 „
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბობი . . 3 „
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . . . 20 „
7) ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . . . 35 „

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.

1) ვუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკითხავი წიგნი, შედგ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ, სურათ., მესამე გამოც., ყდით . 85 „
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყებით შკოლებისათვის, ყდით . 20 „
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . . . . . 50 „
4) არქიმ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . 30 „
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . . . . . 50 „
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქართ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. . 70 „
7) მისივე. იგივე. ტ. II. . . . 70 „
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი, ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . . . . 20 „
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . . . . 15 „
10) ა. ჰიჰინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყდით . 60 „
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე . 10 „

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.